შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/02

თბილისი **"16" იანვარი, 2023 წ.**

გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 11.01.2023 წლის N 1.1/3 ბრძანების, სამართლის ფაკულტეტის და ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების და სამართლის ფაკულტეტებზე სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	ფაკულტეტი
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი)	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
2	ტურიზმი	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
3	ჟურნალისტიკა	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
4	ფსიქოლოგია	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
5	სამართალი	5	სამართლის ფაკულტეტი

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	ფაკულტეტი
1	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
2	მასობრივი კომუნიკაცია	3	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
3	სისხლის სამართალი	2	სამართლის ფაკულტეტი
4	კერძო სამართალი	2	სამართლის ფაკულტეტი

2. განისაზღვროს 2022-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

3. დოკუმენტების მიღება და სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

- 10 თებერვლიდან, 16 თებერვლის ჩათვლით;

4. შიდა მობილობის წესით, ჩასარიცხი პირების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2023 წლის 1 მარტს;

5. განისაზღვროს, შიდა მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების ადმინისტრირება დაევალოს ვიცე რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით, კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;

6. შიდა მობილობის პროცესში, წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება დაევალოს სასწავლო უნივერისტეტის შესაბამის ფაკულტეტებს.;

7. სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს;

8. სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას ეთხოვოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფაკულტეტების დეკანებისა და სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე რექტორისთვის;

9.ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი